

შპს „ჰიპოკრატე“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგებები.....	6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „ჰიპოკრატე“-ს ხელმძღვანელობას

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ჰიპოკრატე“-ს (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველის აზრით აღწერილი საკითხების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

აუდიტის წარმართვისას სუბიექტის მიერ ვერ მოხერხდა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სრული რეესტრის მოწოდება. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების რაოდენობის და შესაბამისი 451,335 ლარის ღირებულების დადასტურება, შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით. ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემების სისუსტესა და ხარვეზზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებობდა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორები, რაც უნდა გამხდარიყო გაუფასურების ტესტის ჩატარების მიზეზი. კომპანიას არ განუხორციელებია აქტივების გაუფასურების ტესტი, შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მოძრავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით და შესაბამისად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოძრავი ძირითადი საშუალებების ცვეთასთან დაკავშირებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოძრავი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 3,606,991 ლარს. ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემების სისუსტესა და ხარვეზზე.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიას არ განუხორციელებია დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის კალკულაცია. ამასთანავე, სუბიექტმა ვერ მოგვაწოდა ფიზიკური პირების ერთიანი რეესტრი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არსებული დებიტორული დავალიანების იდენტიფიცირება მომხმარებლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავადასტურეთ კონკრეტული ფიზიკური პირების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება. ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემების სისუსტესა და ხარვეზზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის განყოფილებაში დასახელებით „აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებულ დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოდიფიცირებულ მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკვრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების პარტნიორია ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი

შპს „აუდიტექსი“

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი, 2019 წელი

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გაღვინას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკვრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების პარტნიორია ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი

შპს „აუდიტექსი“

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი, 2019 წელი



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს “ჰიპოკრატე”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	5	75,760	363,842
დებიტორული დავალიანება	6	4,224,877	3,367,347
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	451,335	436,851
ძირითადი საშუალებები	8	15,500,552	16,405,576
არამატერიალური აქტივები		7,882	8,840
გაცემული სესხები	9	300,000	425,048
სხვა მოთხოვნები	10	738,042	719,324
სხვა აქტივები		49,591	148,219
საგადასახადო აქტივი		118,849	240,981
სულ აქტივები		21,466,888	22,116,028
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	1,662,747	1,386,907
მიღებული სესხები	12	3,233,845	3,559,824
გადასახდელი ხელფასები	13	2,432,969	1,748,608
გადასახდელი დივიდენდები		-	-
სხვა ვალდებულება		147,963	161,420
საგადასახდო ვალდებულება		323,320	215,343
სულ ვალდებულებები		7,800,844	7,072,102
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	4,516,435	4,516,435
სარეზერვო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		184,827	1,090,878
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	15	8,964,782	9,436,613
სულ კაპიტალი		13,666,044	15,043,926
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,466,888	22,116,028

დირექტორი:

თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს "პიპოკრატე"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	5	75,760	363,842
დებიტორული დავალიანება	6	4,224,877	3,367,347
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	451,335	436,851
ძირითადი საშუალებები	8	15,500,552	16,405,576
არამატერიალური აქტივები		7,882	8,840
გაცემული სესხები	9	300,000	425,048
სხვა მოთხოვნები	10	738,042	719,324
სხვა აქტივები		49,591	148,219
საგადასახადო აქტივი		118,849	240,981
სულ აქტივები		21,466,888	22,116,028
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	1,662,747	1,386,907
მიღებული სესხები	12	3,233,845	3,559,824
გადასახდელი ხელფასები	13	2,432,969	1,748,608
გადასახდელი დივიდენდები		-	-
სხვა ვალდებულება		147,963	161,420
საგადასახდო ვალდებულება		323,320	215,343
სულ ვალდებულებები		7,800,844	7,072,102
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	4,516,435	4,516,435
სარეზერვო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		184,827	1,090,878
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	15	8,964,782	9,436,613
სულ კაპიტალი		13,666,044	15,043,926
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,466,888	22,116,028

დირექტორი:



თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს “ჰიპოკრატე”

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	16	13,743,787	12,486,138
მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	17	(3,166,223)	(2,790,647)
საიჯარო შემოსავლები		43,597	44,122
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	18	374,664	394,959
სხვა შემოსავლები	19	327,860	241,026
შრომის ანაზღაურების ხარჯი	20	(8,350,173)	(7,947,517)
საპროცენტო ხარჯები	21	(309,976)	(203,135)
კომუნალური ხარჯები	22	(505,295)	(493,683)
სამეურნეო ხარჯები		(171,104)	(189,522)
ცვეთის ხარჯი		(1,348,509)	(1,405,627)
რემონტის ხარჯი	23	(221,895)	(306,408)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(839,299)	(668,360)
საექვო და უიმედო მოთხოვნის ხარჯი		-	(314,237)
დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი		-	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(54,263)	(323,849)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(476,829)	(1,476,739)
მოგების გადასახადი		(135,158)	(215,343)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(611,987)	(1,692,082)
წმ. სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		-	375,363
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(611,987)	(1,316,719)

დირექტორი:

თბილისი, საქართველო
 20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს "ჰიპოკრატე"

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	16	13,743,787	12,486,138
მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	17	(3,166,223)	(2,790,647)
საიჯარო შემოსავლები		43,597	44,122
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	18	374,664	394,959
სხვა შემოსავლები	19	327,860	241,026
შრომის ანაზღაურების ხარჯი	20	(8,350,173)	(7,947,517)
საპროცენტო ხარჯები	21	(309,976)	(203,135)
კომუნალური ხარჯები	22	(505,295)	(493,683)
სამეურნეო ხარჯები		(171,104)	(189,522)
ცვეთის ხარჯი		(1,348,509)	(1,405,627)
რემონტის ხარჯი	23	(221,895)	(306,408)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(839,299)	(668,360)
საექვო და უიმედო მოთხოვნის ხარჯი		-	(314,237)
დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი		-	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(54,263)	(323,849)
მოგება/ზარალი დაბეგრამდე		(476,829)	(1,476,739)
მოგების გადასახადი		(135,158)	(215,343)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(611,987)	(1,692,082)
წმ. სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		-	375,363
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(611,987)	(1,316,719)

დირექტორი:



თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს “ჰიპოკრატე”

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	3,437,802	9,538,158	17,492,395
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,692,082)	-	(1,692,082)
დივიდენდის გატანა	-	(1,131,750)	-	(1,131,750)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	375,363	375,363
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	-	476,908	(476,908)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	1,090,877	9,436,613	15,043,926
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(611,987)	-	(611,987)
დივიდენდის გატანა	-	(765,895)	-	(765,895)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	-	471,831	(471,831)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	184,827	8,964,783	13,666,044

დირექტორი:

თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი


შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს "ჰიპოკრატე"

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	ბირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	3,437,802	9,538,158	17,492,395
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,692,082)	-	(1,692,082)
დივიდენდის გატანა	-	(1,131,750)	-	(1,131,750)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	375,363	375,363
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	-	476,908	(476,908)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	1,090,877	9,436,613	15,043,926
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(611,987)	-	(611,987)
დივიდენდის გატანა	-	(765,895)	-	(765,895)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	-	471,831	(471,831)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	4,516,435	184,827	8,964,783	13,666,044

დირექტორი:



თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს “ჰიპოკრატე”

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	12,474,723	12,189,205
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	392,583	405,387
საიჯარო შემოსავალი	41,883	49,532
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(4,048,990)	(3,563,517)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(1,697,536)	(2,177,107)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(5,880,233)	(5,954,999)
სხვა შემოსავლები/(გასავლები)	182,753	113,323
საკურსო სხვაობა	(16,266)	(21,377)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,448,917	1,040,448
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(491,725)	(1,706,897)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(2,882)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(491,725)	(1,709,779)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	2,111,924	5,311,315
სესხის დაფარვა	(2,821,205)	(4,317,254)
სესხის გაცემა	(306,000)	(14,000)
გაცემული სესხის დაბრუნება	497,607	82,080
გაცემული დივიდენდი	(727,600)	(1,131,750)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,245,274)	(69,609)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(288,082)	(738,941)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	363,841	1,102,782
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	75,759	363,841

დირექტორი:

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს "ვიპოკრატე"

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	12,474,723	12,189,205
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	392,583	405,387
საიჯარო შემოსავალი	41,883	49,532
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(4,048,990)	(3,563,517)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(1,697,536)	(2,177,107)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(5,880,233)	(5,954,999)
სხვა შემოსავლები/(გასავლები)	182,753	113,323
საკუროს სხვაობა	(16,266)	(21,377)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,448,917	1,040,448
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(491,725)	(1,706,897)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(2,882)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(491,725)	(1,709,779)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	2,111,924	5,311,315
სესხის დაფარვა	(2,821,205)	(4,317,254)
სესხის გაცემა	(306,000)	(14,000)
გაცემული სესხის დაბრუნება	497,607	82,080
გაცემული დივიდენდი	(727,600)	(1,131,750)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,245,274)	(69,609)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(288,082)	(738,941)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	363,841	1,102,782
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	75,759	363,841

დირექტორი:

თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2019 წელი

შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები შპს „ჰიპოკრატე“

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჰიპოკრატე“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2011 წლის 15 სექტემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N46, I სართული.

კომპანია არ ახორციელებს სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა შვილობილი საწარმოდან, შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-დან დივიდენდების მიღება.

შპს „ჰიპოკრატე“ 2016 და 2017 წლების ბოლოს წარმოადგენს შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს 100%-ის მფლობელს.

შპს „ჰიპოკრატეს“ 100%-იანი მფლობელია ქართლოს დიასამიძე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ამგვარი ოპერაციებისა და უცხოური ვალუტით დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდირების აღრიცხვა

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა.

„ჯგუფი“ გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც „ჯგუფი“ გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, სხვა პირობითი გადახდა გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების თარიღში და შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილის შეფასება ხდება წილის მყიდველის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შესყიდვის თარიღით.

შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ერთეულს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან მისი დაკარგვის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში

არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

(iv) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, „ჯგუფი“ წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ნებისმიერი ზედმეტობა ან ნაკლებობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ „ჯგუფი“ შეინარჩუნებს რაიმე სახის წილს შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი სამართლიანი ღირებულებით შეფასდება კონტროლის დაკარგვის დღეს. შემდეგ ის აღიარდება როგორც ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში, ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონიდან გამომდინარე.

(v) ინვესტიციები მეკავშირე კომპანიაში

„ჯგუფის“ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიაში მოიცავს წილს მეკავშირე კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე კომპანია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლებზეც „ჯგუფს“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს და არც ერთობლივად აკონტროლებს მას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შესაბამისად. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს „ჯგუფის“ მიერ სხვა საწარმოში 20%-დან 50%-მდე ხმის უფლების ფლობას. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც „ჯგუფი“ ერთობლივად აკონტროლებს და მას აქვს უფლება მის წმინდა აქტივებზე და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

წილი მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს მეკავშირე კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციებში „ჯგუფის“ მოგება-ზარალს ან სხვა სრული შემოსავლის წილს, მათ „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი ამ უკანასკნელების დასრულებამდე.

როდესაც „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციებში, ამგვარი ინტერესის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერ გრძელვადიან ინვესტიციასთან ერთად, ნულამდე შემცირდება, ხოლო შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც „ჯგუფს“ ექნება ვალდებულება ან როდესაც ის განხორციელებს გადახდას ინვესტიციის მიმღების სახელზე.

(vi) კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. შიდაჯგუფური მოგება, რომელიც წარმოიშობა მეკავშირე კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციების ოპერაციებიდან, გამოირიცხება ინვესტიციების მიხედვით, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. შიდაჯგუფური ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც შიდაჯგუფური მოგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი ისეთი მატერიალური შეუსაბამობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს თუ:

- შეძენილია უახლოეს პერიოდში გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით;
- ერთობლივი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილი, რომელიც იმართება ერთად და რომელთათვისაც არსებობს მტკიცებულება მოკლევადიანი მოგების მიღებაზე;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გარდა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტები) ან,
- თავდაპირველი აღიარებისას, სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული მოგების ან ზარალის საფუძველზე.

კომპანიას შეუძლია აღიაროს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით, როცა:

- აქტივები ან ვალდებულებები მართვადია, შეფასებულია და წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე;
- გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნება ან,
- აქტივი ან ვალდებულება შეიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც სხვაგვარად იქნება საჭირო ხელშეკრულებით.

ყველა სავაჭრო დერივატივი წმინდა სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი (დადებითი სამართლიანი ღირებულება), წარმოდგენილია როგორც აქტივები. ყველა სავაჭრო დერივატივი წმინდა სავალუტო პოზიციებში (ნეგატიური სამართლიანი ღირებულება), წარმოდგენილია, როგორც ვალდებულებები.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კომპანია:

- აპირებს გაყიდოს დაუყოვნებლივ ან უახლოეს ვადებში;
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საფუძველზე;
- თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრავს როგორც გასაყიდად გამიზნული;
- შესაძლებელია ვერ აღიდგინოს არსებითად ყველა მისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტის გაუარესება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი ჯგუფს ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს, გარდა იმ შემთხვევისა როცა:

- კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით;
- კომპანია ასახავს როგორც გასაყიდად შესაძლებელი;
- განისაზღვრება როგორც სესხები და მოთხოვნები.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არ არის კლასიფიცირებული სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ფინანსური აქტივები, მათ შორის წარმოებული წარმოებულები, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებებით, გარიგების ხარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მათ გაყიდვასთან ან ჩამოწერისგან, გარდა:

- სესხები და მოთხოვნები, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით
- ინვესტიციები კაპიტალში, რომლებსაც არ გააჩნიათ კოტირებული საბაზრო ფასები და რომელთა სამართლიანი ღირებულება არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულისა და ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება სამართლიანი ღირებულებით განხორციელებული ფინანსური აქტივის გადაცემისას, იზომება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება იზომება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხების დაფარვა, პლუს ან მინუს კუმულაციური ამორტიზაცია ნებისმიერი სხვაობის ეფექტურ საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აღიარებული საწყის თანხას ვადადმდე დაფარვის ოდენობს შორის, მინუს ნებისმიერი გაუფასურების შემცირება. პრემიები და ფასდაკლებები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯები, შედის შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზებულია ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

შედლებისდაგვარად, კომპანია აფასებს ფინანსურ ინსტრუმენტებს აქტიურ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასის გამოყენებით. ბაზარი აქტიურად განიხილება, თუ აქტივის ან ვალდებულების ოპერაციები ხდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რათა უზრუნველყოს სწორი ფასების განსაზღვრა.

როდესაც არ არსებობს კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე, კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს. შერჩეული შეფასების მეთოდი, აერთიანებს ყველა იმ მიდგომას რასაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას ჩვეულებრივ გარიგების ფასს წარმოადგენს. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ რეალური აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისაგან, სამართლიანი ღირებულება არ არის შესაბამისი არც იდენტური აქტივისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასთან და განსხვავდება შეფასების მეთოდის გამოყენებით დადგენილ ფასთან, ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით. განსხვავება სამართლიანი ღირებულებისა თავდაპირველი აღიარებისა და გარიგების ფასს შორის აღიარდება მოგება-ზარალში

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შემდგომ წარმოქმნილი მოგება და ზარალი

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი აღიარდება შემდეგნაირად:

- ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების კლასიფიცირების შემდგომ მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში
- გასაყიდად გამიჯნული ფინანსური აქტივებიდან მიღებული მოგება-ზარალი აღიარებული არის სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა გაუფასურებისა და მოგება-ზარალის ხარჯებისა). გასაყიდად გამიჯნულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული პროცენტი აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებებისაგან მიღებული მოგება-ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ როცა, ეს აქტივები და ვალდებულებები მიიჩნევა ჩამოსაწერად ან გაუფასურებულად.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება - ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები გარდა შენობა-ნაგებობისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. შენობა-ნაგებობები აღირიცხული არის გადაფასებული ღირებულებით და მენეჯმენტი ყოველწლიურად ახორციელებს შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების ანალიზს.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

დასახელება	სასიცოცხლო ვადები
შენობა-ნაგებობა	20
სამედიცინო აპარატურა	5
სხვა	5-7

ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა, სასიცოცხლო ვადის განუსაზღვრელობამდე. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. სასიცოცხლო ვადა არის 10 წელი. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაუფასურება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია დაადგენს, რომ მოხდა „ზარალის შემთხვევა“, რომელიც ახდენს გავლენას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. შესაძლოა ვერ მოხერხდეს გაუფასურების გამომწვევი შემთხვევის იდენტიფიცირება და ასეთი შემთხვევის ანალიზი მოითხოვდეს მნიშვნელოვან მსჯელობას.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს ისტორიული ტენდენციების სტატისტიკურ მოდელებს, რომლებიც გამოვლენილია ალბათობის, დროის ადდენისა და ზარალის ოდენობით, რომელიც მოახდენს მენეჯმენტის გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მიმდინარე ეკონომიკურ და საკრედიტო პირობებს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რეალური დანაკარგები უფრო მეტი ან ნაკლებია, ვიდრე ისტორიული მოდელირება.

რეგულარული განაკვეთების, ზარალის განაკვეთები რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი შესაბამისია. აღნიშნულ შემთხვევაში კონკრეტული გაუფასურების ტესტირება არ ჩატარდება, რადგან საკრედიტო პორტფელი მოიცავს დიდი რაოდენობით მცირე ექსპოზიციის სესხებს, რომლებისთვისაც ინდივიდუალური გაუფასურების ტესტირების ჩატარება არაპრაქტიკულია.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალი არის სხვაობა ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები შეიძლება შეიცავდეს:

საკონტრაქტო გადასახდელების წარმოუდგენლობა ძირსა და საპროცენტო თანხაზე; დებიტორების ფინანსური პრობლემები; ხელშეკრულების ან დებულების დარღვევა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება - ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოიქმნის ფულადი სახსრების შემოადინებას სხვა აქტივებისაგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება - ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები ადვილად კონვერტირებადი და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მქონე მუხლია. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ეროვნული ბანკის მიმართ თანხებს, რომელშიც შედის სავალდებულო რეზერვები და ბანკთაშორისი თანხები სამ თვეზე ნაკლები ვადით. ფულადი სახსრები სამ თვეზე მეტი ვადით გამოირიცხება ფული და ფულის ექვივალენტებისგან. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

მფლობელთა კაპიტალი

მესაკუთრის კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია თავისივე ღირებულებით და კლასიფიცირებულია კაპიტალში როგორც მფლობელთა კაპიტალი. დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ წელს, როდესაც ისინი გამოაცხადეს

დივიდენდი

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულების სახით და გამოირიცხება კაპიტალიდან იმ ვადაში, როდესაც დივიდენდებს გამოაცხადებენ და დაამტკიცებენ. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსურ ანგარიშგებად გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი გამოვლინდება შემდგომი მოვლენების შესახებ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ლომბარდებს, ხოლო სხვა საწარმოებთან დაკავშირებით 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი კოდექსი ზემოქმედებას ახდენს ჯგუფის საშემოსავლო გადასახადის აღიარებასა და შეფასების პრინციპებზე და ასევე გავლენას ახდენს ჯგუფის გადავადებულ საშემოსავლო გადასახადებზე აქტივებსა/ვალდებულებებზე. კომპანიებს არ უწევთ გადასახადამდე მოგებაზე საშემოსავლოს გადახდა (რომელსაც იყენებენ კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემდეგ, საშემოსავლო გადასახადის 15% გადასახდელია დივიდენდის გადახდის მომენტში, მიუხედავად იმისა ის გადასახდელია მონეტარული თუ არამონეტარული ფორმით უცხოური არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდა გადასახადისგან გათავისუფლებულია. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია დანახარჯსა ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც წარმოიქმნა არაეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის/მომსახურებების უფასო მიწოდების და/ან სახსრების გადარცხვაზე და წარმომადგენლობით ხარჯზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საშემოსავლო გადასახადით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას იმავე წელს როცა ისინი წარმოიქმნა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანი

ხელფასები, საპენსიო შენატანები, შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, აღიარდება იმ წელს, როცა მასთან დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომელმა გაწია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

ჩვეულებრივ ბიზნესში, კომპანიას აქვს გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებით გამოიყენება მაშინ, თუ გარიგებები ფასდება საბაზრო ან არასაბაზრო ფასებში, სადაც არ

არის აქტიური ბაზარი მსგავსი ტიპის ტრანზაქციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სხვა მოსაკრებლები, საკომისიოები და სხვა შემოსავლები და ხარჯები იდენტიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესაბამისი მომსახურება გათვალისწინებული. გადახდები საოპერაციო ლიზინგის დროს აღიარებულია მოგების ან ზარალის შესახებ წრფივი მეთოდით სალიზინგო ვადის განმავლობაში. ლიზინგის წახალისება აღიარებულია როგორც იჯარის მთლიანი ღირებულების განუყოფელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. დღ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისას, შემოსავალი ნაჩვენები უნდა იქნას დღ-სა და ფასდათმობის გარეშე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ზიზნის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 ფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო არიგების მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	51,186	331,822
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	18,241	25,726
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	6,332	6,293
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	75,759	363,841

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები. ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული

6. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიებისგან	2,979,251	2,451,393
მოთხოვნა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოდან	1,074,021	690,788
სხვა მოთხოვნები	171,605	210,959
რეფერალური პროგრამა	-	14,207
სულ დებიტორული დავალიანება	4,224,877	3,367,347

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
კარდიოქირურგია	122,346	56,042
მედიკამენტები	55,212	102,530
საოპერაციო კარდიო	48,417	35,496
ნეიროინტერვენცია	35,897	-
ზოგადი რეანიმაცია	31,907	30,043
კარდიორეანიმაცია	31,284	38,780
ლაბორატორია	28,012	35,883
საოპერაციო ბლოკი	27,529	26,110
სტომატოლოგია თერაპიული	12,198	12,575
ნევროლოგიური განყოფილება	9,406	6,581
კარდიოლოგია	8,684	11,642
გადაუდებელი დახმარების სამსახური (ER)	7,725	10,762
ქირურგიული განყოფილება	6,426	10,120
ტოქსიკოლოგიური განყოფილება	6,131	8,132
ანესთეზიოლოგიური განყოფილება	5,869	7,036
საწვავი	2,743	1,342
ნეიროქირურგიული განყოფილება	2,060	2,118
ყბა-სახის ქირურგიის განყოფილება	2,005	2,303
რენტგენის კაბინეტი	1,576	2,533
გინეკოლოგია	1,107	2,344
ქიმიოთერაპია	1,040	-
კომპიუტერული ტომოგრაფია	1,017	-
რადიოლოგიის კაბინეტი	883	2,787
ენდოსკოპია	793	-
სასწრაფო დახმარება	533	1,968
ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური სამსახური	457	5,536
ტექნიკური სამსახური	78	78
ინტენსიური თერაპია	-	24,110
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	451,335	436,851

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის ინვენტარი	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 01.01.2017	61,285	13,323,872	3,606,534	241,494	259,540	16,015	512,639	18,021,379
შეძენა	-	-	881,126	311,573	110,140	-	183,917	1,486,756
გადაფასება	-	375,363	-	-	-	-	-	375,363
ჩამოწერა	-	-	(4,029)	-	(29,319)	-	-	(33,348)
ბალანსი 31.12.2017	61,285	13,699,235	4,483,631	553,067	340,361	16,015	696,556	19,850,150
შეძენა	-	-	442,066	16,754	12,163	-	15,070	486,053
ჩამოწერა	-	-	(12,614)	-	-	-	(30,911)	(43,525)
ბალანსი 31.12.2018	61,285	13,699,235	4,913,083	569,821	352,524	16,015	680,715	20,292,678
ცვეთა								
ბალანსი 01.01.2017	-	(605,210)	(1,057,517)	(112,015)	(133,960)	(10,643)	(120,730)	(2,040,075)
ცვეთა	-	(798,022)	(598,704)	(61,818)	(35,401)	(1,164)	(68,416)	(1,563,525)
ჩამოწერა	-	159,025	-	-	-	-	-	159,025
ბალანსი 31.12.2017	-	(1,244,207)	(1,656,221)	(173,833)	(169,361)	(11,807)	(189,146)	(3,444,575)
ცვეთა	-	(622,751)	(533,249)	(78,054)	(36,773)	(931)	(75,792)	(1,347,550)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	-	(1,866,958)	(2,189,470)	(251,887)	(206,134)	(12,738)	(264,938)	(4,792,125)
ბალანსი 01.01.2017	61,285	12,718,662	2,549,017	129,479	125,580	5,372	391,909	15,981,304
ბალანსი 31.12.2017	61,285	12,455,028	2,827,410	379,234	171,000	4,208	507,410	16,405,575
ბალანსი 31.12.2018	61,285	11,832,277	2,723,613	317,934	146,390	3,277	415,777	15,500,553

9. გაცემული სესხები

შპს ჰიპოკრატეს გაცემული აქვს უპროცენტო სესხი დამფუძნებელზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხი არის 300,00 ლარი, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 425,048 ლარი.

10. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები შედგება სადაზღვევო კომპანიების მიმართ არსებული მოთხოვნებისგან. სხვა მოთხოვნების ძირითადი ნაწილი შედგება შპს რეფერალური დახმარების ცენტრის მიმართ მოთხოვნისგან. სხვა მოთხოვნების ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 738,042 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 719,324 ლარს.

11. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეადგენს 1,662,747 ლარს. ხოლო, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,386,907 ლარს.

12. მიღებული სესხები

მიღებული სესხი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მიღებული სესხი აშშ დოლარში	1,517,134	1,384,364
მიღებული სესხი ლარში	1,009,107	1,250,914
მიღებული სესხი ევროში	707,604	924,546
სულ მიღებული სესხი	3,233,845	3,559,824

კომპანიას სს საქართველოს ბანკი-სგან მიღებული აქვს 5 სესხი. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7-13 %-მდე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკი-სგან მიღებული სესხის თანხა შეადგენს 3,082,931 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,408,910.

ასევე, კომპანიას მიღებული აქვს სესხი „საქართველოს შრომის ჯანრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო“-სგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხის თანხა შეადგენს 148,346 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 148,346 ლარს.

13. გადასახდელი ხელფასები

გადასახდელი ხელფასები შედგება ადმინისტრაციაზე, შიდა განყოფილებებში მომუშავე პერსონალისა და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტებზე გასაცემი ხელფასებისგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასების თანხა შეადგენს 2,432,969 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,748,608 ლარს.

14. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს დაფუძნების დოკუმენტაციებში კაპიტალის ნომინალურ თანხას.

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო გამოაცხადონ დივიდენდები და უფლებამოსილნი იყვნენ კომპანიის დამფუძნებლების შეხვედრებზე პროცენტული წილის შესაბამისად.

31.12.2018, 31.12.2017 წლების მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი არის 4,516,435 ლარი. 2018 წელს ცვლილებები არ ყოფილა. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი უცვლელი დარჩა 31.12.2018 წლის მდგომარეობით.

15. ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი

2018 წლის 11 ნოემბერს კომპანიის მიმართვის საფუძველზე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა კომპანიის შენობა-ნაგებობების შეფასება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება შეადგენს 12,516,313 ლარს. 2018 წლის მდგომარეობით კომპანიას შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულების შეფასება არ განუხორციელებია.

16. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	2018	2017
კარდიოლოგია	2,758,793	1,783,158
რეანიმაცია	2,013,874	1,926,223
კარდიო-ქირურგია	1,866,153	1,149,472
ქირურგია	1,196,690	1,020,977
ნევროლოგია	996,194	1,123,205
ინტენსიური თერაპია (III)	943,399	1,459,109
ება-სახე	773,957	1,037,523

ამბულატორიული დიაგნოსტიკა და სხვა	638,125	400,963
კარდიორენიმაცია	549,147	114,741
ნეიროქირურგია	445,036	513,757
თერაპია	387,580	440,275
გადაუდებელი დახმარების სამსახური (ემერჯენსი)	348,043	510,355
ტოქსიკოლოგია.თერაპია	263,925	333,721
ტრავმატოლოგია	228,189	293,174
გინეკოლოგია	123,516	92,997
ტრანსფუზიოლოგიის კაბინეტი	123,150	189,560
ანგიოქირურგია	88,016	96,928
სულ შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	13,743,787	12,486,138

17. მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი

მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	2018	2017
მედიკამენტების და სისხლის კომპონენტების დანახარჯი	3,050,906	2,691,372
სხვა სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	112,857	65,252
ქანგადაის დანახარჯი	2,460	34,022
სულ მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	3,166,223	2,790,647

18. შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან

შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	2018	2017
მოთხოვნა რეზიდენტურიდან	343,958	369,475
შპს "ენდოკრინოლოგიის ეროვნული ცენტრი"	17,542	12,712
შპს ორიენტირი (სტუდენტების პრაქტიკა)	3,712	-
შემოსავალი სასწავლო პროცესიდან	3,224	785
შპს კანისა და ვენსნეულეზათა სამედიცინო კვ.ეროვნული ცენტრი	2,492	700
შპს ფერომედი	2,237	-
შპს ჯეო ჰოსპიტალს	1,398	-
შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი	102	-
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახ.თსუ	-	8,746
შპს მედულა- ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიის კლინიკა	-	254
შპს"პ.შოთაძის სახ.თბილისის სამედიცინო აკადემია"	-	847
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისი #1	-	1,441
სულ შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	374,664	394,959

19. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2018	2017
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	162,296	31,657
შემოსავალი სამედიცინო-კვლევითი პროგრამიდან	102,852	111,193
შპს რეფერალური დახმარების ცენტრი	50,944	73,563
უსასყიდლოდ მიღებული შემოსავალი	9,845	9,967
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	1,773	14,645
არასაოპერაციო მოგება	150	-
სულ სხვა შემოსავლები	327,860	241,026

20. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი	2018	2017
დანარჩენი თანამშრომლების ანაზღაურება	8,126,091	7,703,032
მენეჯმენტის ანაზღაურება	224,082	244,485
სულ ანაზღაურება	8,350,173	7,947,517

21. საპროცენტო ხარჯები

კომპანიას სს საქართველოს ბანკი-სგან მიღებული აქვს 5 სესხი. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7-13 %-მდე. 2018 წლის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკი-სგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი შეადგენს 309,976 ლარს ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 203,135 ლარს.

22. კომუნალური ხარჯები

კომუნალური ხარჯები	2018	2017
ელ. ენერგიის ხარჯი	278,421	256,518
ბუნებრივი გაზის ხარჯი	82,775	97,233
წყლის ხარჯი	79,510	78,521
კომუნიკაციის ხარჯი	37,190	37,137
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	23,500	20,450
დასუფთავების ხარჯი	2,944	2,819
სადიზენფექციო მომსახურების ხარჯი	955	1,005
სულ კომუნალური ხარჯები	505,295	493,683

23. რემონტის ხარჯები

რემონტის ხარჯი	2018	2017
აპარატის რემონტი	134,518	112,942
შენობის რემონტი	79,603	175,313
ოფისის აღჭურვილობის რემონტი	4,989	16,455
ელ.გაყვანილობა	2,785	1,699
სულ რემონტის ხარჯები	221,895	306,408

24. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
საყოველთაოს ჯარიმა	180,073	44,173
არასაოპერაციო ზარალი	147,680	146,411
საიჯარო ქირა	128,103	16,135
დაცვის მომსახურება	71,483	73,265
ჩამოწერა მარაგის და ინვენტარის	70,146	56,439
შ.პ.ს რეფერალური დახმარების ცენტრი	63,981	74,649
საერთო ხარჯები	39,434	58,194
ბანკის ხარჯი	36,356	56,010
საკონსულტაციო ხარჯები	30,600	600
არასაოპერაციო ხარჯები	14,028	538
დაზღვევა	11,412	11,552
საწვავის ხარჯი	9,833	4,965

რეკლამის ხარჯები	9,671	23,221
წარმომადგენლობითი ხარჯი	7,687	14,857
კომპიუტერის ხარჯები	7,256	13,011
დასაბეგრი ხარჯები	3,906	5,441
მივლინების ხარჯი	2,045	206
საფოსტო მომსახურება	1,419	1,829
ავტომაქსის შენახვის ხარჯი	1,380	3,129
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	794	1,363
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,012	62,373
სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	839,299	668,360

25. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 28 მაისის N18476 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს (ს/ნ 202901832) საქმიანობის გასვლითი საგადასახდო შემოწმება. საგადასახდო შემოწმების პერიოდი განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე, მოგების და ქონების გადასახადების ნაწილში განისაზღვრა 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლების საანგარიშო პერიოდი.

თავდაპირველად, საგადასახდო აქტები და მის საფუძველზე გამოცემული საგადასახდო მოთხოვნები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში. საჩივარი, შემოსავლების სამსახურის ბრძანების თანახმად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საბოლოოდ, საგადასახდო აქტით გამოცემული საგადასახდო მოთხოვნები გასაჩივრდა ადმინისტრაციული სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში და 2017 წლის აგვისტოდან დღემდე მიმდინარეობს სასამართლო დავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და შემოსავლების სამსახურთან. სადავო თანხის ოდენობა შეადგენს 1,008,183 (ერთი მილიონ რვაათას ას ოთხმოცდასამი) ლარს.

26. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლები

კორპორატიული მართვა

კომპანია დაფუძნებული არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და ოპერირებს ქართული კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის მართავს გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობის საერთო მართვაზე. საქართველოს კანონმდებლობა და კომპანიის წესდება ადგენს იმ გადაწყვეტილებების ჩამონათვალს, რომლებიც მხოლოდ ერთპიროვნულად არის დამტკიცებული.

რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკის მართვა ფინანსების ინსტიტუტების ფუნდამენტურია და წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის არსებით ელემენტს.

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი
- საფასო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საოპერაციო რისკი

- კაპიტალის მართვის რისკი

საბაზრო რისკი

რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთს და სავალურო რისკებს.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანიას დამტკიცებული აქვს სპეციფიური სტრატეგიები, რაც შეესაბამება კორპორაციულ მიზნებს. ეს სტრატეგიები განსაზღვრავენ მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს და კომპანიის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების რისკი არის რისკი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკს ფინანსური აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით :

31.12.2018	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	69,427	5,087	1,246	75,760
სულ აქტივები	69,427	5,087	1,246	75,760
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	1,009,107	707,604	1,517,134	3,233,845
სულ ვალდებულებები	1,009,107	707,604	1,517,134	3,233,845
წმინდა საბალანსო პოზიცია	(939,679)	(702,517)	(1,515,889)	(3,158,085)
31.12.2017	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	358,556	-	5,286	363,841
სულ აქტივები	358,556	-	5,286	363,841
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	1,250,914	924,546	1,384,364	3,559,824
სულ ვალდებულებები	1,250,914	924,546	1,384,364	3,559,824
წმინდა საბალანსო პოზიცია	(892,358)	(924,546)	(1,379,079)	(3,195,983)

საფასო რისკი

სხვა საფასო რისკი, წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალი რეალური ღირებულების ცვლილებების გამო საბაზრო ფასების ცვლილებებთან მიმართებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საფასო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდეგებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივაციული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31.12.2018	1 თვემდე	1 – 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	-	-	-	75,760	75,760
დებიტორული დავალიანება	-	-	4,224,877	-	4,224,877
გაცემული სესხი	-	-	-	300,000	
სხვა მოთხოვნები	-	-	-	738,042	738,042
სხვა აქტივები	-	-	-	49,591	49,591
სულ ფინანსური აქტივები	-	-	4,224,877	1,163,393	5,088,270
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	1,662,747	1,662,747
მიღებული სესხები	-	-	-	3,233,845	3,233,845
სხვა ვალდებულება	-	-	-	147,963	147,963
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	5,044,555	5,044,555
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	-	-	4,224,877	(3,881,162)	43,715

31.12.2017	1 თვემდე	1 – 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	-	-	-	363,842	363,842
დებიტორული დავალიანება	-	-	3,367,347	-	3,367,347
გაცემული სესხი	-	-	-	425,048	
სხვა მოთხოვნები	-	-	-	719,324	719,324
სხვა აქტივები	-	-	-	148,219	148,219
სულ ფინანსური აქტივები	-	-	3,367,347	1,656,433	4,598,732
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	1,386,907	1,386,907
მიღებული სესხები	-	-	-	3,559,824	3,559,824
სხვა ვალდებულება	-	-	-	161,420	161,420
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	5,108,151	5,108,151
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	-	-	3,367,347	(3,451,718)	(509,419)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემური გაუმართაობის, წარმოქმნილი ადამიანური შეცდომა, თაღლითობა ან გარე ფაქტორებისგან წარმოქმნილი რისკი. როდესაც კონტროლის სისტემები არ მუშაობას, საოპერაციო რისკებმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, ჰქონდეს სავალალო სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. კომპანიას არ შეუძლია აღმოფხვრას ყველა საოპერაციო რისკის მაგრამ კონტროლის მექანიზმის დანერგვა, მონიტორინგი და პოტენციური რისკებზე რეაგირება შეიძლება იყოს რისკის მართვის ეფექტური მექანიზმები. კონტროლის მექანიზმი უნდა მოიცავდეს ეფექტური სეგრეგაციის, ავტორიზაციის, შესწორებების სისტემებს და ასევე პერსონალის დატრენინგებისა და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის პროცედურებს

27. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალური მართვისთვის ფორმალური პოლიტიკა არ გააჩნია, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საქმიანობისა და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიღწეულია ეფექტური ფულადი სახსრების მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, ძირითადად, კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადების დაფინანსებით. ამ ზომების გათვალისწინებით, კომპანია მიზნად ისახავს სტაბილური მოგების ზრდას.

კომპანია ახორციელებს თავის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს ცვლილებებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერთათვის დივიდენდის გადახდა ან აქციონერთათვის კაპიტალის დაბრუნება ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

28. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მენეჯმენტის ანაზღაურება:

2018

2017

მენეჯმენტის ანაზღაურება	224,082	244,485
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	224,082	244,485

დამფუძნებელზე გაცემული სესხი:

	2018	2017
დამფუძნებელზე გაცემული დივიდენდი	765,895	1,131,750
სულ დამფუძნებელზე გაცემული დივიდენდი	765,895	1,131,750

29. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: სამართლიანი ღირებულებები და საბუღალტრო კლასიფიკაცია

სამართლიანი ღირებულებების დაყოფა ხდება სხვადასხვა დონეებად შეფასების მეთოდებში გამოყენებული საშუალებების საფუძველზე:

- დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის.
- დონე 2: დონე 1-ში კოტირებული ფასების გარდა, აქტიურ ბაზრებზე შეფასებადი აქტივებისა და ვალდებულებების ფასები
- დონე 3: აქტიურ ბაზრებზე შეუფასებადი აქტივებისა და ვალდებულებების ფასები

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებას მათი საბალანსო ღირებულებებისგან განსხვავებით. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება მოგების ან ზარალის გავლით კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე -2 დონეში, შეფასების მოდელების გამოყენების გამო.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31.12.2018 საბალანსო ღირებულება	31.12.2018 სამართლიანი ღირებულება	31.12.2017 საბალანსო ღირებულება	31.12.2017 სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტი	75,760	75,760	363,842	363,842
დებიტორული დავალიანება	4,224,877	4,224,877	3,367,347	3,367,347
სხვა მოთხოვნები	738,042	738,042	719,324	719,324
კრედიტორული დავალიანება	1,662,747	1,662,747	1,386,907	1,386,907
მიღებული სესხები	3,233,845	3,233,845	3,559,824	3,559,824
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	9,935,271	9,935,271	9,397,244	9,397,244

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის შედგენამდე, ზემოთ ხსენებულის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ჰიპოკრატე“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების წერილი



დამოუკიდებელი აუდიტორების წერილი

შპს „ჰიპოკრატეს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 20 სექტემბერს გამოცემულ დასკვნაში გამოვთქვით მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება, რომელიც არ ეხება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს, რომელიც გამოთქვამს თავის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების აღნიშნული კანონის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2020 წლის 31 იანვარს გამოცემულ მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული. ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ.

ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და გაცნობებთ, რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, გამოსცა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება;
2. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.
3. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები, რაც მიგვანიშნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

პატივისცემით,

ზვიადი ბალახაშვილი

გარირების პარტნიორი

შპს „აუდიტექსი“

დამოუკიდებელი აუდიტორების წერილი

შპს „პიპოკრატეს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 20 სექტემბერს გამოცემულ დასკვნაში გამოვთქვით მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება, რომელიც არ ეხება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს, რომელიც გამოთქვამს თავის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების აღნიშნული კანონის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2020 წლის 31 იანვარს გამოცემულ მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული. ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ.

ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და გაცნობებთ, რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, გამოსცა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება;
2. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.
3. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამოები, რაც მიგვანიშნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

პატივისცემით,

ზვიადი ბალახაშვილი

გარირების პარტნიორი

შპს „აუდიტექსი“



შპს „ჰიპოკრატე“-ს

2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები.....	2
საქმიანობის მიმოხილვა.....	2
ორგანიზაციის სტრუქტურა.....	3
კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები	4
კომპანიის გარემო.....	6
კონკურენციის შეზღუდულობა	6
თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი	6
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ჰიპოკრატე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ს/ნ 404919406, მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №46, I სართული.

შპს „ჰიპოკრატეს“ 100%-იანი დამფუძნებელია ქართლოს დიასამიძე, კომპანია თავის მხრივ ფლობს შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს (ს/ნ 202901832) (შემდგომში „კლინიკა“) 100% წილს. შპს „ჰიპოკრატე“ გარდა იმისა, რომ წარმოადგენს კლინიკის დედა კომპანიას, სხვა ეკონომიკური საქმიანობით არ არის დაკავებული.

შპს „ჰიპოკრატე“-ს და მასთან კონსოლიდირებული კლინიკის, (შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „კომპანია“) საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემდგომი გადამზადება.

კომპანიის სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კარდიოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ქირურგიული (ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, კარდიოქირურგია, ტრავმატოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ონკოქირურგია) პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- გინეკოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ნევროლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- თერაპიული პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ტოქსიკოლოგიური მოწამელის პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ინტენსიური ზედამხედველობის საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- პაციენტთა დიაგნოსტიკიდან (კლინიკო-ბიოქიმიური და ინსტრუმენტარული კვლევები) მიღებული შემოსავლები;

სამედიცინო მომსახურება წარმოებს როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული ფორმით.

კომპანიაში დასაქმებულია 650-მდე ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- საშუალო მედპერსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაციის თანამშრომლები, ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).


კომპანია ახორციელებს სხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორცაა ფართების იჯარით გაცემა და მედიკამენტების რეალიზაცია.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კომპანიაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კომპანიაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის, სადაზღვევო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, რომელიც შესრულებულ სამუშაოს კომპანიას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, ამასთან კომპანია თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კომპანიის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით).

ორგანიზაციის სტრუქტურა



კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები

2018 წელს კომპანიის შემოსავალი იყო 13,743,787 ლარი, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში კი -12,486,138 ლარი. როგორც ვხედავთ, მთლიანი შემოსავალი კომპანიაში 2018 წელს 1,257,649 ლარით გაიზარდა. 2018 წელს კომპანიაში დაფიქსირდა პაციენტების რაოდენობის ზრდა. 2017 წელს პაციენტების გახსნილი ისტორიების რაოდენობა გახლდათ დაახლ. 16,118 ცალი, 2018 წელს კი ამ რიცხვმა 16,762-ს მიაღწია.

2017 წელს დაიწყო და 2018 წელს სრულად განხორციელდა კარდიოქირურია-კარდიორეანიმაციის (გულ-სისხლძარღვთა ცენტრი) დეპარტამენტის შექმნა, რითაც კომპანიამ მიიღო 4 დონის რეფერალური კლინიკის სტატუსი. აღნიშნული სამედიცინო მიმართულების ამოქმედებამ, ბუნებრივია, განაპირობა დამატებითი აპარატურის შეძენა და თანამშრომლების დამატება, თუმცა კომპანიის ამ გადაწყვეტილებამ დამატებითი შემოსავლები დააგენერირა. გულ-სისხლძარღვთა ცენტრიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2018 წელს შეადგინა 5,209,091 ლარი, მაშინ როდესაც 2017 წელს ამ ტიპის შემოსავალი კარდიოლოგიური დეპარტამენტიდან იყო 3,028,345 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მედიკამენტებზე ფასები 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაზრდილია. საქსტატის მონაცემებით, მაგალითისთვის, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების ფასი 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დაახლოებით 4.5%-ით არის გაზრდილი. სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტების ფასები -6%-ით.

კომპანიაში მიმდინარე საქმიანობის ანალიზი ხდება პერიოდულად, თვეში ერთხელ. ანალიზი კეთდება, როგორც მომსახურების ხარისხის ნაწილში, ასევე ფინანსურ ნაწილში. ანალიზის ფინანსური ნაწილი მოიცავს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია მონაწილეობას ღებულობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, რომელიც რეგულირდება მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36-ე დადგენილებით. აღნიშნული დადგენილება პერიოდულად განიცდის ცვლილებებს, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე. მაგალითისათვის, ასეთ ცვლილებას წარმოადგენს მომსახურების ტარიფებთან და ანაზღაურების პირობებთან დაკავშირებული ცვლილებები. აღნიშნულ ცვლილებებს ტარიფებთან მიმართებაში, როგორც წესი კლებისაკენ მიმართული ხასიათი აქვს.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, როცა კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან შემოსავალი კლებულობს (შესაბამისად კლებულობს პაციენტთა მომართვიანობა), როცა სამედიცინო ორგანიზაციების რაოდენობა არსებულ კლასტერში მატულობს, როდესაც პერიოდულად კლებულობს მომსახურების ტარიფები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის განვითარების დაგეგმვას. მთავარი პრიორიტეტი ენიჭება კომპანიაში პაციენტთა მომართვიანობის გაზრდას, რომელიც მიიღწევა ახალი სამედიცინო მიმართულების დანერგვით და არსებული მიმართულებების მეტად განვითარებით. კომპანიამ უკვე შექმნა ქიმიო-თერაპიული განყოფილება და გეგმავს მაგნიტო-რეზონანსული აპარატის შესყიდვას.

ვინაიდან კომპანია ვერ საზღვრავს სახელმწიფო დაზღვევაში მონაწილე პაციენტების მკრუნალობის ტარიფებს და აღნიშნულ ტარიფებს კლების ტენდენცია აქვთ, ეს იმ ფონზე როდესაც გაიზარდა კომუნალური მომსახურებებზე ფასები, გაიზარდა მედიკამენტების ღირებულება, კომპანია იძულებულია მოახდინოს ხარჯების შემცირება, რომელიც არ იმოქმედებს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. ასეთი ხარჯების შემცირება კომპანიაში უკვე განხორციელდა, შემცირდა ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

კომპანიაში ინერგება სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ახალი ელექტრონული პროგრამა. პროგრამა მოიცავს როგორც სამედიცინო, ასევე ფინანსურ ნაწილს. აღნიშნული პროგრამა კომპანიას მისცემს საშუალებას მყისიერად მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება სამედიცინო მიმართულებებში გამოვლენილი პრობლემებთან მიმართებაში.

უმოკლეს ვადებში კომპანია გეგმავს დამატებით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- ❖ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ამუშავდეს დირექტორის 2017 წლის 25 სექტემბრის #56/ო ბრძანება და ფინანსურმა მენეჯერმა 2019 წლის 19 აპრილის ბრძანების შესაბამისად წარმოადგინოს დღემდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ფინანსურ-ეკონომიკური ანგარიში. ასევე, წარმოდგენილ იქნას კომპანიის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი ახალი თვიური გეგმა;
- ❖ გადაითვალოს და ყველა განყოფილებას განესაზღვროს თვის განმავლობაში შესასრულებელი გეგმა, რომლის მიხედვითაც ფინანსურმა მენეჯერმა უნდა მოხდინოს სახელფასო ბიუჯეტის დაანგარიშება;
- ❖ შემცირდეს ადმინისტრაციული ხელფასების ხარჯი დაახლოებით 30%-ით;
- ❖ შემცირდეს რეანიმაცია-ინტენსიური თერაპიის და გადაუდებელი დახმარების განყოფილების სახელფასო თანხები;
- ❖ ამუშავდეს გადაუხდელი თანხების ამოღების სისტემა (გადაეცეს ამომღებ ორგანიზაციებს). შედგეს სასამართლოში წარსადგენი მოსათხოვნი თანხების სია და წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს შემდგომი რეკომენდაციისთვის.
- ❖ ხელფასები გაიცეს მხოლოდ რეალურად მიღებული თანხებიდან შესაბამისი შესრულებების გათვალისწინებით.

კომპანიის გარემო

კონკურენციის შეზღუდულობა

მედიცინა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ არსებობს ერთგვაროვანი სახით. ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო მომსახურების თითოეული სახე არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და რა პირობებში აწვდის მას. ერთიდაიგივე დაავადებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განსხვავებული მეთოდებით მკურნალობენ. სხვადასხვა დაწესებულებების შესაძლებლობები (სადიაგნოზო მოწყობილობები, სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე). ავადმყოფს, რომელიც გეგმიურ ოპერაციას სამხარეო საავადმყოფოში იტარებს, შედარებით ნაკლები რისკი აქვს ვიდრე ავადმყოფს, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია უტარდება რაიონულ საავადმყოფოში. შედეგად, სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო დახმარების გარკვეულ სახეებზე გვევლინებიან როგორც მონოპოლისტები.

ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული კონკურენციის მიზეზებია:

- ❖ სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე კონკურენტთა მცირე რაოდენობა;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული სისტემა;
- ❖ სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცველი;
- ❖ სამედიცინო დახმარება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს.

კონკურენტუნარიანი ბაზრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბაზარზე თავისუფალი შესვლა. მყიდველებსა და გამყიდველებს ნებისმიერ დროს მინიმალური დანახარჯებით შეუძლიათ ბაზარში შესვლა და მისი დატოვება. სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, რაც ამცირებს კონკურენტების რაოდენობას. სამედიცინო ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო ლიცენზირება, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის რეგისტრაციისა და ლიცენზირების განსაკუთრებული წესები. ლიცენზირებას გამოიყენებენ დაბალი კვალიფიკაციის მიმწოდებლების სამედიცინო ბაზარზე შესვლის პრევენციის მიზნით. სამედიცინო პრაქტიკის უფლება აქვს მხოლოდ ექიმებს, რომელთა განათლების დონე პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციას ზღუდავს სამედიცინო დახმარების მიწოდების იერარქიული სისტემა. საავადმყოფოთა ქსელი აგებულია სტაციონარული დახმარების დონეებად დაყოფის პრინციპით, ანუ სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებები დიფერენცირებულია დონეების მიხედვით, კერძოდ, ჰოსპიტალური მომსახურების შემდეგი დონეები არსებობს: დღის სტაციონარი, რაიონული საავადმყოფო, სამხარეო საავადმყოფო, სპეციალიზირებული საავადმყოფო, პროფილური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, კლინიკური საავადმყოფო. ჰოსპიტალურ შემთხვევათა შედარებით იოლი ფორმების კონცენტრირება ხდება რაიონულ საავადმყოფოებში, რომლებიც პაციენტის საცხოვრებელი ადგილის ახლოს არიან განთავსებულნი. უფრო რთული შემთხვევების მკურნალობა ხორციელდება სამხარეო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში. აღნიშნული დონეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აღჭურვილობითა და პერსონალის კვალიფიკაციით. ცხადია, სტაციონარული სამედიცინო დახმარების ასეთი იერარქიული სისტემა და შესაბამისად დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული საავადმყოფოების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის რეალური კონკურენციის შესაძლებლობას.

თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი

ჩვეულებრივ, ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს ამა თუ იმ საქონლის ყიდვას. სულ სხვა მდგომარეობაა სამედიცინო ბაზარზე. სამედიცინო დახმარების გაწევა ადამიანის სიცოცხლესთანაა დაკავშირებული და იგი მომხმარებლის (პაციენტის) გადახდისუნარიანობაზე ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული.

რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმის კორექციის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა უფრო მეტია მოსახლეობის ღარიბ ფენებში. სამედიცინო მომსახურებაზე დაბალშემოსავლიანი პირების გაზრდილი მოთხოვნილება განპირობებულია მათი არადაამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებით, რაც უარყოფითად მოქმედებს

ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ასევე, ცნობილია, რომ მიმდინარე დაავადება და მკურნალობაზე გასაწევი ხარჯები მრავალი ადამიანის სიღარიბის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ჯანდაცვაში თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევის მთავარ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოებრივი სოლიდარობა: მდიდარი იხდის ღარიბზე, ჯანმრთელი – ავადმყოფზე, ახალგაზრდა – მოხუცზე. სოლიდარობის პრინციპის განხორციელებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს.

აღნიშნული ფაქტორების აღმოსაფხვრელად ჯანდაცვის სისტემა სამართლიანობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული:

სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული პაციენტის გადახდისუნარიანობაზე;

მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტებით, მიუხედავად სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი და ასაკობრივი განსხვავებისა;

საჭიროა ჯანდაცვის სისტემის ძირითადი ფასეულობების, სამართლიანობის საკითხების იდენტიფიცირება, მის შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები შემდეგნაირად გამოიყურება:

კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კომპანია ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და სხვადასხვა სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.

კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ, კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ, გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში.

კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში.

კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედდებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით.

დღეს არსებული წესის მიხედვით, სამედიცინო მომსახურებაზე ანაზღაურება წარმოებს ტარიფით ან ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დაანგარიშებისას გამოიკვეთა არაპირდაპირი ხარჯის დაანგარიშების ხარვეზები, კერძოდ არის აზრთა სხვადასხვაობა თუ რა ტიპის ხარჯი უნდა შევიდეს არაპირდაპირ ხარჯებში. დღემდე არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს არაპირდაპირ ხარჯში შესაყვან კატეგორიებს, რაც იწვევს გაურკვევლობას მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებში.

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდაწინ არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ, და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, “ფასი” სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

ქართლოს დიასამიძე

დირექტორი

შპს „ჰიპოკრატე“

თარიღი: 31 იანვარი 2020 წელი

*** ბოლო გვერდი ***

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდაწინ არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეიძლება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ, და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, "ფასი" სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

ქართლოს დიასამიძე

დირექტორი



შპს „ჰიპოკრატე“

თარიღი: 31 იანვარი 2020 წელი

*** ბოლო გვერდი ***